ხელშეკრულება № 45

(საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის

გამარტივებული შესყიდვის შესახებ)

ჭიათურა 03 ნოემბერი 2015წ

ერთის მხრივ ა(ა)იპ „ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ (შემდგომში „შემსყიდველი“)(მისამართი, ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №11, საიდენტიფიკაციო კოდი 215613254, სს „ლიბერთი ბანკი“ ჭიათურის ფილიალი 427, ბანკის კოდი LBRTGE22 ანგარიშის №GE71LB0115160745923000) დირექტორს მაკა წერეთელსა და მეორეს მხრივ შპს „საპროექტო 2015“ (მისამართი ჭიათურა, ნინოშვილის ქ №5ა საიდ. კოდი 415593520,) დირექტორს გიორგი გოგატიშვილს შორის (შემდგომში „მიმწოდებელი“) მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ფორმდება წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ა(ა)იპ „ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ №3, №4 და №7 განყოფილებებში „კედელზე მისამაგრებელი გათბობის ქვაბის ლითონის ყუთში განთავსებისათვის და №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8 განყოფილებებში ნამწვავი აირების გამწოვი „ქოლგის“ მონტაჟისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. კლასიფიკატორის კოდი - 71320000

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს, რომელიც მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

**შემსყიდველის უფლება-მოვალეობები:**

3.1. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება.

3.2. „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება.

**მიმწოდებლის უფლება-მოვალეობები;**

3.3. უზრუნველყოს ხელშეკრულების საგანში აღნიშნული მომსახურეობის გაწევა.

3.4. დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;

4. ანგარიშსწორება

4.1. გაწეული მომსახურეობის შესახებ ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

5. ფორს-მაჟორი

5.1. ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს მაჟორული გარემოებების შედეგი.

5.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ მიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

5.3. ფორს მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.

6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

6.5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში ერთი მხარე წერილობით გაფრთხილებას უგზავნის მეორე მხარეს ხელშეკრულების პირობების სათანადო შესრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარე უფლებას იტოვებს ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

## 7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

7.3. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 8. სადაო საკითხების გადაწყვეტა

8.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მოლაპარაკების საშუალებით მოაგვარონ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს.

## 9.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.შეტყობინების მიმღებმა მხარემ 3 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

## 10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1. შემსყიდველს უფლება აქვს აწარმოოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი ხელშეკრულების მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში ნებისმიერ დროს.

## 11.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან, მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადით.

11.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 12. დამატებითი პირობები

12.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (2 გვერდზე) და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

12.2 ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“:

ა(ა)იპ „ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“
საიდენ. კოდი: 215613254
მისამართი: ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №11
მიმღები ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი“
ჭიათურის ფილიალი 427
ბანკის კოდი LBRTGE22
ანგარიშის ნომერი: GE71LB0115160745923000

დირექტორი: /მ. წერეთელი/

„მიმწოდებელი“:

შპს „საპროექტო 2015“
მის. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №5ა
საიდენტიფიკაციო კოდი: 415593520

მომსახურე ბანკის კოდიBAGAGE22

ანგარიშის ნომერი: GE40BG0000000546423400

დირექტორი: /გ. გოგატიშვილი/